გადაწყვეტილება

N გ-22-19/185
14/04/2022

185-გ-22-1-4-202204141757

სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ორგანიზაციული მოწყობის სტრუქტურისა და პოზიციების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ კომისიის 2017 წლის 14 დეკემბრის N816/22 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიაში (შემდგომში „კომისია“) მიმდინარე ორგანიზაციული ეფექტიანობის გაზრდისათვის ეტაპობრივად ხორციელდება თანამშრომელთა დატვირთვისა და ეფექტიანობის შესწავლა. ორგანიზაციული ეფექტიანობის ამაღლება გულისხმობს კომისიის შიდა ორგანიზაციული პროცესების გაუმჯობესებას და მიზნად ისახავს კომისიის შედეგების ხარისხის გაზრდას და კომისიისადმი კანონით დაკისრებული ფუნქციების უფრო ეფექტიანად შესრულებას.

მუდმივად ცვალებად გარემოსთან ადაპტაციისათვის კომისიის შიდა სამუშაო პროცესები ცვლილებებს განიცდის. კომისიის კომპეტენციაში შემავალი სატელეკომუნიკაციო და მედია სექტორების დინამიური განვითარება, ასევე ქართული სატელეკომუნიკაციო სფეროს წინაში მდგომი ახალი გამოწვევები რომლებიც მსოფლიოში მიმდინარე ციფრული ეკონომიკის მზარდ ტენდენციას და ციფრული ტრანსფორმაციის ამოცანებს უკავშირდება, კომისიის ექსპერტიზის მუდმივი გაუმჯობესების და თანამედროვე მსოფლიოს საუკეთესო გამოცდილებების საქართველოს სპეციფიკაში გადმოტანის და გაზიარების აუცილებლობას ქმნის. კომისია ვალდებულია შეისწავლოს დარგის სიახლეები და ორგანიზაციული ეფექტიანობა შეაფასოს ახალი გამოწვევების შესაბამისად. სიახლეების შესწავლის და ქართულ რეალობასთან ადაპტაციის მიზნით კომისია ეტაპობრივად გადადის პროექტულ მართვაზე. პროექტულმა მუშაობამ შრომითი ფუნქციების ახლებურად განაწილებისა და ახალი კომპეტენციების მოზიდვის საჭიროება გამოიწვია.

მუშაობის პროცესში გამოვლენილი საჭიროებების იდენტიფიცირების შემდეგ, კომისიის თავმჯდომარეს მოხსენებითი ბარათით მიმართეს კომისიის აპარატის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის, სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების, აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტებისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელებმა და მოითხოვეს შტატების დამატება.

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის მოხსენებით ბარათში (N 22-10-559; 04.04.2022) მითითებული არგუმენტაციის გათვალისწინებით, კომისიის წინაშე

მდგარი გამოწვევების გამკლავებისათვის და კომისიაში დანერგილი პროგრამული უზრუნველყოფების გამართული მუშაობისათვის, მიზანშეწონილია ბიზნეს ანალიტიკოსის საშტატო ერთეულის დამატება. კომისიის 2016 წლის 1 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულებით“ გათვალისწინებული ფუნქციების შესრულებისათვის (ახალი პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება და არსებულის გაუმჯობესება), აპარატში აქამდე არ იყო ცალკე გამოყოფილი ბიზნეს ანალიტიკოსის პოზიცია, რაც, სამსახურის უფროსის შეფასებით, წლების განმავლობაში იწვევდა გარკვეულ ხარვეზებს პროგრამული უზრუნველყოფების შემუშავებისა და განვითარების პროცესში. მისი მოსაზრებით, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის დებულებით განსაზღვრული ფუნქციების უკეთესად შესრულებისათვის, მიზანშეწონილია სამსახურის საშტატო ნუსხას დაემატოს 2 საშტატო ერთეული (რანგით E4) ბიზნეს ანალიტიკოსის პოზიციაზე, შემდეგი ფუნქციების შესასრულებლად: საჭიროების ანალიზის ჩატარება არსებული პროგრამული უზრუნველყოფების გაუმჯობესებისა და ახალი პროგრამული უზრუნველყოფების შემუშავებებისათვის; ტექნიკური დავალების შემუშავება დეველოპერებისთვის; პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის პროცესის მონიტორინგი, პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების პროექტის მართვა და ვადების კონტროლი, შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირება, მომხმარებლის სახელმძღვანელოების შემუშავება, თანამშრომლებისთვის ტრენინგების ჩატარება და სხვა აქტივობები კომისიაში შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფების ხარიხის გაუმჯობესებისა და მუდმივი განვითარებისათვის.

2. სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მოხსენებით ბარათში (N 22-10-579; 05.04.2022) მითითებული არგუმენტაციის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია დეპარტამენტის საშტატო ნუსხას დაემატოს 3 საშტატო ერთეული: 2 მთავარი სპეციალისტი (რანგით E3) და 1 წამყვანი სპეციალისტი (რანგით E4). მოხსენებით ბარათში მითითებულია, რომ ბოლო წლებია დეპარტამენტის თანამშრომელთა დატვირთვა გაზრდილია სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების თანამედროვე ამოცანების, ბაზრის გამოწვევებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლის და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებთან შემდგომი დაახლოების მიმართულებებით. შემოსული საკითხების მრავალფეროვნებისა და სპეციფიკის გათვალისწინებთ გაიზრდა და კომპლექსური გახდა რეგულარული სამუშაოებიც, რომელთა ხარისხიანად შესრულება რთულია დეპარტამენტის ადამიანური რესურსით. კონკურენციის ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი აქტივობების გათვალისწინებით, „კონკურენციის შესახებ„ საქართველოს კანონში 2020 წლის 16 სექტემბერს მიღებული ცვლილებების თანახმად, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონითა და მის საფუძველზე მიღებული სამართლებრივი აქტებით ეკონომიკის რეგულირებად სფეროში კონკურენციის შესაძლო დარღვევებს განიხილავს მარეგულირებელი ორგანო. შესაბამისად, სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის ფუნქციებს, გარდა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ფუნქციებისა, რომელიც სატელეკომუნიკაციო ბაზრის წინასწარ (Exante) რეგულირებას ითვალისწინებდა, დაემატა კონკურენციის სამართლის აღსრულების ე.წ. შემდგომი (Ex-post) რეგულირების ამოცანები. ამასთან, ამავე ფუნქციების ფარგლებში დეპარტამენტის კომპეტენციაში შედის მაუწყებლობის სფეროში კონკურენციის შესაძლო დარღვევის და კონცენტრაციების გამოკვლევის საკითხებზე მუშაობა. ამ მიზნით, კომისიას პროექტული მუშაობისათვის უწევს არასაშტატო შრომითი ურთიერთობებით ადამიანების დაქირავება პერიოდულად.

გამომდინარე იქიდან, რომ დარგისა და კომისიის სპეციფიკაში გარკვევა საკმაოდ შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესია, ასევე, გამომდინარე იქიდან, რომ პროექტული სამუშაოების დიდი ნაწილი დეპარტამენტის რუტინულ საქმედ იქცა, ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს მიზანშეწონილად მიაჩნია 3 საშტატო ერთეულის დამატება შემდეგი ძირითადი ფუნქციების შესასრულებლად: მთავარი სპეციალისტი: დარგში არსებული სარეგულაციო ჩარჩოს შესაბამისი ბაზრის კვლევის და ანალიზის საუკეთესო ევროპული და საერთაშორისო პრაქტიკების კომპლექსური შესწავლა და ანალიზი, შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება ფინანსური, ეკონომიკური, სამართლებრივი ფაქტორების გათვალისწინებით, დარგის განვითარების ტენდენციების ანალიზი, ქართული სატელეკომუნიკაციო ბაზრის თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევა და ანალიზი; კომისიის მიერ ინიცირებულ ინოვაციურ პროექტების სისტემური შესწავლა და მართვა, სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების გაუმჯობესების მიზნით. წამყვანი სპეციალისტი: რეგულირების სფეროში შემავალი კომპანიების მოთხოვნების შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება გაწერილი პროცესების შესაბამისად; დარგის შესახებ მიღებული სტატისტიკური ინფორმაციის რეგულარული შესწავლა და ანალიზი, შესაბამისი ანგარიშების მომზადება.

3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოხსენებით ბარათში (N22-10-562; 04.04.2022;) მითითებული არგუმენტაციის გათვალისწინებით, კომისიის დამხმარე ფუნქციების ეფექტიანად შესრულებისათვის, მიზანშეწონილია შესყიდვებისა და ქონების მართვის ჯგუფში 1 საშტატო ერთეულის დამატება წამყვანი სპეციალისტი (რანგით E4) და 1 პოზიციის დასახელების ცვლილება. ახლად დამატებული საშტატო ერთეულის ფუნქციებია კომისიის ქონების აღრიცხვა და მართვა, ლოგისტიკა, კომისიაში მიმდინარე მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, ზედამხედველობა და მონიტორინგი. მოხსენებით ბარათში ასევე მითითებულია, რომ რეკომენდირებულია ლოგისტიკის სპეციალისტს (რანგით E5), შეეცვალოს დასახელება და ნაცვლად *ლოგისტიკის სპეციალისტისა,* ჩამოყალიბდეს *შესყიდვების სპეციალისტად* რადგან შესყიდვების მიმართულებით გაზრდილი სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებით პოზიციამ რეალურად შეიცვალა მიმართულება და შესყიდვების მიმართულებით სპეციალიზირდა.

4. კომისიის აპარატის აუდიო ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მოხსენებით ბარათში (N22-10-554; 01.04.2022) წარმოდგენილი არგუმენტაციის გათვალისწინებით, დეპარტამენტის გაზრდილი სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია დაემატოს 1 წამყვანი სპეციალისტის პოზიცია (რანგით E4); მოხსენებით ბარათში მითითებულია, რომ გახანგრძლივებული სასამართლო დავის დასრულების შემდეგ, კომისიის რეგულირების სფეროში შემავალი მაუწყებლების ინფორმაციის წარმოდგენის მონიტორინგი ფინანსური გამჭვირვალეობის უზრუნველყოფისათვის, არის ახალი მიმართულება, რომელიც საკმაოდ შრომატევადი რეგულარული სამუშაოა და რთული შესასრულებელია არსებული ადამიანური რესურსის გათვალისწინებით. ასევე, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში 2020 წლის 16 სექტემბერს მიღებული ცვლილებების შესაბამისად, დეპარტამენტის კომპეტენციაში შევიდა მაუწყებლობის სფეროში კონკურენციის შესაძლო დარღვევისას და დავების განხილვისას მოკვლევის ჩატარება, შესაბამისად, ახლებურად განსაზღვრა დეპარტამენტის გარკვეული ვალდებულებები. აღნიშნულის გათვალისწინებით, აუდიო ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის საშტატო ნუსხაში რეკომენდირებულია დაემატოს წამყვანი სპეციალისტის საშტატო ერთეული (რანგით

E 4) შემდეგი ფუნქციების შესასრულებლად: მაუწყებლობის ბაზრების კვლევების ჩატარება და ანგარიშების მომზადება, საერთაშორისო პრაქტიკის მოძიება და რეკომენდაციების მომზადება, მაუწყებლობის შემოსავლებისა და დამფინანსებლების შესახებ მონაცემების დამუშავება, ანალიტიკა და რეგულარული ანგარიშების მომზადება, დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში სამართლებრივი დეპარტამენტისათვის გადაცემა.

კომისიამ, ზემოაღნიშნული არგუმენტების გათვალისწინებით, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ორგანიზაციული მოწყობის სტრუქტურისა და პოზიციების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ კომისიის 2017 წლის 14 დეკემბრის N816/22 გადაწყვეტილებაში შემდეგი ცვლილებების შეტანა:

ა) ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურში:

დაემატოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს 2 საშტატო პოზიცია - ბიზნეს ანალიტიკოსი, წამყვანი სპეციალისტი, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი რანგით E4; განისაზღვროს სახელფასო ზღვრები სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ორგანიზაციული მოწყობის სტრუქტურისა და პოზიციების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ კომისიის 2017 წლის 14 დეკემბრის N816/22 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ კომისიის 2019 წლის 19 სექტემბრის (N გ-19-19/553) გადაწყვეტილებით დამტკიცებული საშტატო ნუსხის შესაბამისი E4 რანგისათვის განსაზღვრული ზღვრების შესაბამისად;

ბ) სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტში:

1. დაემატოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტს 2 საშტატო პოზიცია მთავარი სპეციალისტი (პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი), რანგით E3. სახელფასო ზღვრები განისაზღვროს სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ორგანიზაციული მოწყობის სტრუქტურისა და პოზიციების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ კომისიის 2017 წლის 14 დეკემბრის N816/22 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ კომისიის 2019 წლის 19 სექტემბრის (N გ-19-19/553) გადაწყვეტილებით დამტკიცებული საშტატო ნუსხის შესაბამისი რანგისათვის განსაზღვრული ზღვრების შესაბამისად;
2. დაემატოს სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტს 1 საშტატო პოზიცია წამყვანი სპეციალისტის (მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი) რანგით E4. სახელფასო ზღვრები განისაზღვროს სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ორგანიზაციული მოწყობის სტრუქტურისა და პოზიციების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ კომისიის 2017 წლის 14 დეკემბრის N816/22 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ კომისიის 2019 წლის 19 სექტემბრის (N გ-19-19/553) გადაწყვეტილებით დამტკიცებული საშტატო ნუსხის E4 რანგისათვის განსაზღვრული ზღვრების შესაბამისად;

გ) ადმინისტრაციაში:

1. დაემატოს ადმინისტრაციის შესყიდვებისა და ქონების მართვის ჯგუფს ერთი პოზიცია- შესყიდვების და ლოგისტიკის ჯგუფის წამყვანი სპეციალისტი (მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი) რანგით E4; სახელფასო ზღვრები განისაზღვროს სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ორგანიზაციული მოწყობის სტრუქტურისა და პოზიციების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ კომისიის 2017 წლის

14 დეკემბრის N816/22 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ კომისიის 2019 წლის 19 სექტემბრის (N გ-19-19/553) გადაწყვეტილებით დამტკიცებული საშტატო ნუსხის E4 რანგისათვის განსაზღვრული ზღვრების შესაბამისად;

2. შეიცვალოს ადმინისტრაციის შესყიდვებისა და ქონების მართვის ჯგუფის სპეციალისტის პოზიციის დასახელება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ადმინისტრაციის შესყიდვებისა და ლოგისტიკის ჯგუფის შესყიდვების სპეციალისტი;

დ) აუდიო ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტში:

დაემატოს აუდიო ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტს 1 საშტატო პოზიცია, წამყვანი სპეციალისტი (მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი) რანგით E4. სახელფასო ზღვრები განისაზღვროს სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ორგანიზაციული მოწყობის სტრუქტურისა და პოზიციების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ კომისიის 2017 წლის 14 დეკემბრის N816/22 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ კომისიის 2019 წლის 19 სექტემბრის (N გ-19-19/553) გადაწყვეტილებით დამტკიცებული საშტატო ნუსხის შესაბამისი რანგისათვის განსაზღვრული ზღვრების შესაბამისად.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, ,,ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის 13[1] მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე, 103-ე, 104-ე და 105-ე მუხლების, VI თავის და კომისიის 2016 წლის 1 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულების“ შესაბამისად, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ორგანიზაციული მოწყობის სტრუქტურისა და პოზიციების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ კომისიის 2017 წლის 14 დეკემბრის N816/22 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტში შევიდეს ცვლილება და დამტკიცდეს კომისიის ორგანიზაციული მოწყობის სტრუქტურისა და პოზიციების ნუსხა თანდართული ფორმით (დანართი N1).
2. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას (ო.ვოტ) გადაწყვეტილების კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება.
3. გადაწყვეტილება ძალაში შედის კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნებისთანავე.
4. გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ამოქმედდეს 2022 წლის 1 მაისიდან.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64) გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.
6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს (თ. ბოკუჩავა).

ნათია კუკულაძე

თავმჯდომარე - მ.შ.

ეკატერინე იმედაძე

წევრი

ივანე მახარაძე

წევრი